"დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

გელის მოწერა მიიღება თილის ში, რედაქცო პივე; ქუთაის ში, ქილამეების წიგნის მალახოაში, გარემე მგნოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ, въ Редан-цію "Дрозба".

B3U.: \$\frac{1}{2}\cong 9 \, \text{3}., \text{11 mgnm 8 \, 3}. \text{50 mg, } \text{10 mgnm 8 \, 3}. \text{50 mgnm - 7 \, 6}. \text{7 mgnm 6 \, 3}. \text{6 mgnm - 4 \, 3}. \text{50 mg, } \text{4 mgnm - 8 \, 3}. \text{3 mgnm - 2 \, 3}. \text{4 mgnm - 1 \, 3}.

80808 JUNESPER CES MESSES PROBLES

ფასი განცხადებისა: სკრიქონზე რგა კაპ ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-

თუ საქიროება მოითოეს, რედექცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბექაად გამოგზაგნილ წეროლებს დაუბექგდელ წეროლებს რედაქცია გერ დაუბრენებს აგტორს.

ცალკე ნომერი დროებისაა ღირს 5 კაპეიკი.

# CONTRACTOR SAME ASSET ATTO **3**35506 838300 34 833033.

აქართველთა - შორის წერა - კითხვის გამავრცელებელის საზოგა დოების • მმართველობა ამით აცხა დებს, რომ კვირას 13 მაისს, დილის 10 საათზე, იქნება საზოგადო წლი ური კრება სახოვადოების წეერთა "წერაკითხვის საზოგადოებისავე" ზალაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზარო ეის სახლში, პირეელი კლასიკური გიმნა-ზიის უკან, "ზროების" რედაქციის ქვეშ, შემდეგის საგნების განსახილვე-

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგა დოების საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1883 წ. 15 მაისამლე 1884 წ.

2) მოსმენა და დამტკიცება მომაეალის წლის შემოსავალ-გასავლის აღ Angegoles co

3) Sanhings bahmasampanb abam Fighors. B dock consend (6-3)

# **ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲒ**

של פ שושופה , שוחשוהם

Dishormol 24-6, ambies bloomes for თული გალობის აღდგინების კომი-

domas botos, how ad bagatage bys show to midning and agold, asat უთანხმობის გამო დღევანდლამდის საქ მე ვერ გათავებულა.

ამ უკანასკნელ ხანში საქმე თითქოს დაბოლოებული გეგონებოდათ, რადგანაც კომისიის ჟურნალის დადგინე-ბით გადაწყვეტილი იყო ბ. ქორიძეს მინდობოდა ოთხის წლის განმავლობა ში ნოტებზედ გადაელო და ამ შრომის-და ათი თუმანი. ამ ჟურნალის დადგი ნებაზედ უარი არავის გამოუება-ღებია, მაგრამ რალაცა გაუვებარის მიზეზის გამო ეს საქმე ხელ-ახლად აირია. უკანასკნელს სხდომაზედ კო მისიამ ველარაფერი გადაწყვეტილება 304 മാര്യന്മ രാ പ്രത്യാവാ വാദ്-മുത്രവും რემ მ. მაკარიმ დავმგდომარეობაზედ უარი სთქვა.

walfighout and sa bajagbons coშორება, რადგანაც იგი ერთი გულ მოდგინე მშრომელთაგანი იყო.

ხსენებულს საღამოს კომისიის ერთი წევრი ამტკიცებდა და მის მიბაძვით Monomobile bigant strand on the monor , ვითომც ჩვენი ეკლესიები ისე ლა რიბები იყენენ, რომ თითო მანეთი კი გაუჭირდებათო (სიტყვა მ. მანსვე-

Bob Bobogs objood somo you ayou წარმოთქმული, რომ ნოტებზედ გადაღებას სრულიად თავი დაანებონ,

მოიწვიონ მგალობლები და მათის შემწეობით ქართული ხმების გალობა ზეპირ გაავრცელონ.

მს მხარე ბაასისა, რომელიც ზო გიერთებისაგან სიამოენებით იყო მილებული, ვერავითარს კრიტიკას ეერ გაუძლებს, რადგანაც ისეთი მაგალითი, როგორც ქართული გალობის ამოვარდნა და დავიწყება, თეალ-წინა გვაქვს და ნოტებჩედ გადალების დევ-კი ეს აღატ დაემართება.

Odali zamos, adamago, mad morbo წელიწადი გადასაღებად: ძალიან ბევიია და დიდი ხარჯი უნდებაო, მაგ. რამ ზეპირ გალობის შესასწავლად მოწვეული პირების დახელოვნებას ხა ნიც მეტი მოუნდება და ხარჯიც, რადგანაც მთელი ხორები უნდა შესდგეს, და რა შედეგი ექნება მათს მოქმედე ბას, ისწავლიან თუ ვერა, ეს კიდევ გადაწყვეტილი არ არის.

ხმების შესწავლა ერთისა და ორის დოის საქმე არ არის. შწინდელი მგა ლობლები მთელს თავიანთ სიცოცხ ლეს ლხინში თუ ლოცვაში სწავლობდენ გალობას და ლილინს, მაგრამ გალობის რიგიანი მცოდნე მაინც, შედარებით რასაკეირეელია, იშეიათად გამოდიოდა. ამასთანავე უწინდელი tombologal Johangen zoemadal Bo თვისება და შთანერგეა უურო ადვი ლი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მათ - הציל שאמים בבתיישל שלמים לשלים რად ესმოდა და მათი სმენა სხვა ქვეყნის ხმების გაგონებით არ იყო გადა სხეაფერებული.

მს ყველა აცილებული იქნება ხმეის ნოტებზედ გადაღებით, რადგანაც ყველა ნოტის მცოდნეს, და ასეთნი კი მრავალნი იპოებიან, ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ სრულია დადვილად შეუძლიან გალობაცა და სწავლე-

ჩვენის აზრით, ყველაზე უმჯობესი იქნებოდა ხმების ნოტებზედ გადაღებისთვის ეხლავე ხელი მიეყოთ, და ენიშნათ წელიწადში თუნდა ოთხი კრება, რომლებზედაც გალობის მცოდნე პირები მოეწვიათ და მათთვის მიენდოთ ნოტებზედ გადაღებული ხმების აე-კარგიანობის დაფასება.

ბმავე განზრახვით გამართულიყო სახალხო კონცერტები, სადაც თითონ ხალხს საშუალება მისკემოდა ხმების შესახებ თავისი აზრი საქვეუნოდ გამოეთქვა. ბმით რაოდენიშე ფულიც მოგროედებოდა, რომელიც არა მცირედს შელავათს მისცემდა გალობის საქმეს.

amma, gorbago jadobisto ( co yggens od samosy, galoy hamady ad baქმის ხელის შეწყობა შეუძლიანთ, აღარ രാട്യാട്യാന് വി പ്രത്യാന്ധവുന്ന രാ საკეთილო საქმე; მოვაგონებთ, რომ მათს მოქმედებას შემდეგი შთამამავლობა გაარჩევს და ყოველის გულ წრფელის და ლისისთვის მ სინიდისიანის საქციემოწიწებით და პატივის ცემით მოიხსენებს მათს სახელს.

psaliffen.

### 3060360 46ME000

= ხიზნების საქმე ერთი იმისთანა საქმეა, რომელიც უექველად მალე უნდა გამოირკვეს, თუ არ გვინდა, რომ შემდეგში ეს ეხლავე სამიმო დამოკიდებულება უფრო გაძნელდეს. ბმისათვის არ შეიძლება არ თანაკუგრძნოთ გადაწყვეტილებას ბ. ბერნატორისას, რომელმაც შაბათ საღამოს მიიწეია გუბერნიის გამგეობა ში რამდენიმე თავადი და აზნაური ყოველგვარი ცნობების მისაცემად ამ სა მძიმო საქმის შესახებ. დანი შნულ დროს შეიყარა თითქმის ორმოც-და-ათამდე პირი. ძრებაზედ დაესწრნენ აგრეთვე წევრნი საგლეხო დაწესებულებისა. ბ. გუბერნატორმა გახსნა კრება და მოკ ლე სიტყვით აუხსნა საზოგადოებას, რომ **თ**ბილისის გუბერნიაში 7000-მდე בחשונה של בשומשונים בשומשונים בחשבות მიური მღგომარეობის გამორკვევა აუცილებლად საჭიროაო. მე გთხოვთ, რომ ყველამ გულ-ღიად წარმოსთქვათ რაც კი იცით ამ საქმის შესახება.

Bosghlylin jambys all nym, - cho. ზანია მართლა განსხვავებული დამოკიდებულების კაცია, თუ არა, და თუ olgo, hazah yotos annisal pomotდელი დამოკიდებულება მამულის პა ტრონსა და ხიზანს შორის. ამ საგან. ზედ დიდი ლაპარაკი ასტყდა; ზოგნი იძახდენ სიზნები მოიგარადრები არი ნო, ზოგნი არღვევდენ ამ აზრსა. საქმის განმარტებას ვერა უშველარა ვერც ორმა გძელმა და შეტად ბუნდად დაწერილმა მოხსენებამ, რომელნიც კრებაში წა კითხულ იქმნენ. ძრება თუმცა პირველის ნახევრამდე გაგრძელდა, მაგრამ ბ. გუბერნატორმა საჭიროდ დაინახა საქმის გამორკეევისათვის კიდევ მიეწვია თავად-აზნაურობა მეორე სხდო მაზედ, რომელიც ბანკის კრებების გათაეების შემდეგ მოხდება და რომლის შესახებაც ცალკე განცხადება იქნება

— შოთიდამ გვატყობინებენ, რომ იქ პირეელს მაისობას მხიარულად ეერ გაუელია, რადგან ამინდი სუდი ყო ფილა. მაინც თბილისიდამ წასულ არტისტებს გაუმართავთ იქ თრი წარ-მოდგენა, რომელხედაც ხალხი ბლომად დასწრებია.

— ჩვენ მოგვივიდა პატარა რუსუ-

ლი ბროშიურა: «მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ბთონზედ, ქარ-თულს საბუთებზე შედგენილია, წიგნი გამოცემულია მუთაისში იკერიელთა ძნობისაგან. მასში დაწვრილებით არის ნაამბობი ის შეწუხება, რასაც ძმანი ივერიელნი იტანდენ განსაკუთრებით ბერძნის ბერებისაგან და განმარტებულია ის უფლებაც, რომელიცა ქართველებს ამ მონასტერზედ. წიგნში ჩართულია სამი სურათი, ერთი "982 წ. ჩვერიის პონასტრის დამფუძნებელთ morhons didons Fd. Amotylin, domingo სა და მქეთიმესი", მეორე "ზღეისაგან ა და აქეთის იკერიის ზეთის მმობ-ლის ხატისა" და მესმმე «ახალი სავა-ნის იოანნე ზეთის-მეტყველისა ბთონის მთაზედა.

— "θწყემსსა" სწერენ (№ 9) სეა ნეთიდამ: სეანეთი განიყოფება სამ ნაწილად: ერთი ნაწილი თავისუფა ლია, მეორე საბატონო და მესამე სადადიანო. თავისუფალი და საბატო-Fr Byan bystyon 11 boasaststembens go barragensom 3 basasalesbroom. Jagms Boografb 14 baladababemobab. სვანეთში სულ 1787 კომლია და 13435 სული; ამათ აქვთ საკუთარი ენა. ზემო-სეანეთის განათელის და წყებიდამ თითქმის ნახევარი საუკუნე სრულდება . ხადადიანო სვანეთში საუკუნე დიდი ხანია ქრისტიანობა მიიღეს. საუბედუროდ, სვანეთში, სადაც ორითასამდე მცხოვრებნი არიან, ერთი სასწავლებელიც არ არის. 1871 წელ \*Jholeostadol აღმადგინებელმა საზოგადოებამა გახსნა სასწავლებელი სოფ. მესტიაში და მასწავლებელიც გამოგზავნა. სანამ 10 მოსწავლე შეიკრიბებოდა, სასწავლებელი დაიხურა. შეგირდები დარჩნენ პირ-დაღებულნი. წარსულს წლებში ერთმა დოქტორმა რეიხმა 4000 მან. სკო პინის ბანკის ბილეთები ანდერძით შესწირა სკოლის საქმეს, მაგრამ, სეანეთის საუბედუროდ, სკოპინის ბანკი soundhoo! how amboo sty, And shy Usbanhyngena co ony bobymagha of act of the services som block by the სკოლას? შუაგულს ჩემო-სეანეთში, სოფ. მესტიას, ადგილობრივი კრებუ. ის მღვდელს ბ. ქურციკიძეს გაუხსნია თავის სადგომში სასოფლო სკო ლა, შეუკრებია 20 შაგირდი ორისავე სქესისა და დაუწყია სწავლება, მისის მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ნება-რთვით. ამას წინედ მე შევედი ამ სკოლაში; ჩემ შესვლაზე შეგირდებმა იგალობეს რუსულად მეეუვო ზეცათაო (царю небесный), ხატისკენ პირჯეარი დაიწერეს და თავი დამიკრეს. მივიხედ-მოვიხედე, ერთხანს ვერ წარმოვიდგინე, თუ სად ვიყავი.

სკოლაში ყველა ბაგშებს აქეთ საკუთარი საკითხავი სხვა-და-სხვა წიგნები, საწერლები, ახალი კაუმის ტარები, საწერი ქალალდები , პატარ პატარა გრიფილები , საწერი დაფები და სხვა და სხვა ნივთები. 3კოიხე მ. ძურციკიძეს, თუ ვინ მისცა მას ეს წიგნები. მიპასუხა: "შემდგომ ეპისკოპოსის ნებართვისა მე წავედი თბილისში და ესთხოვე «♥ერა-კითხებს გამაერცელებელ საზოგადოებას. შემწეობა და ამ საზოგადოებამ მაჩუქა 20 დედა-ენა, 10 ბუნების კარი, 20 პატარა დაფა თავის გრიფილებით და თვითონ ჩემთვის სხვა-და-სხეა საკითხავი წიგნები. ბმასთანავე ადგილობრიე ბრისტავს ბ მარჯანოეს უნებებია შეწირეა ამ სკო ლისათვის საწერლებისა, კალმებისა, μογηρίο Jamamanho co μητιποί 3000 he behale (beha zohogo she shale beყიდი). სტოლები, სკამები და კლასის დაფაც თვითონ მ. მურციკიძეს მოუხერხებია. თეითოეულად ეკითხე ა შეგირდებს, რომელთაც კარგად იციან წაკითხვა და წერაც ნამეტურ ქართულად. დიდად ვისიამოენე, ნამეტანი თვალები ცრემლებით სიხარულით აეუნთე და ამეესო. ხატს სანთელი ჩემს პატარა შეგი/იდებს სამადლობელი პარაკლისი გარდაეუხადე და დარიგება მივეცი. —ჩემი სეანეთის თანამგრძნობელ მასწაელებელს დიდი მადლობა შევსწირე, რომ მას უკისრია ეს კეთილი საქმე. საზოგადოდ ვიტყვი: მ. ბურციკიძემ ამ შემთხვევაში დიდი საქმე უყო სეანეთის მხარეს ხკოლის გახსნით, **უ**კეთუ კეთილად განაგრძო მან ეს საქმე, ლირსია, რომ მშართებლობამ სახეში იყოლიოს იგი.»

— ბაზეთი "ძაეკაზი" იუწყება, რომ მაისის 2-ს მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-ძორსაკოვი მერეში მისუ

შეცდომის გასწორება. გეშინდელს ნომერში, მე 2 სვეტში, მე-20 სტრიქონში ქვეშოდამ სწერია: ახალის,—უნდა იყოს: sksomb,

# 676,000

— **ე**რთი ტრანცუზული გაზეთის კო რესპონდენტი სწერს პეტერბურგიდან: როგორც ამბობენ, რუსეთის მთავრობის განკარგულებით გრა<del>ჶ</del>ი პალენი shangtob saksongob; sa shangtonb doლით უნდა მოიშალოს ოთხი მუხლი იმ წესებისა, რომელნიც გრატმა 0გნატიევმა გამოსცა ებრაელთა წინააღმდეგ. 38 ოთხი მუხლის ძალით, ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ მიწის სყიდვა და იჯარით აღება, სოფელში ცხოერება და სხვა ამისთანეები. **ს**ო რესპონდენტი თანაუგრძნობს პალენის პროექტს, რადგანაც ებრაელების ამ რიგი შეწუხება ძლიერ მაენებელი იყო, ტოგორც ადგილ-მამულის პატრონთათვის, რომელთაც უნდოდათ მიწის გასყიდვა, ანუ იჯარით მიცემა, აგრეთ ვე თვით ებრაელთათვის, რომელთაც

სურდათ მიწის მულობელები გამხდა- გაუჭრიათ კუჭში ნამცეცი არა უბოვრიყვნენო.

- ძომისიას, დანი მწულს იმ წესდებულობის გადასაშინჯავად, რომელიც ეხლა თურქესტანის მხარეში არსებობს, შემდეგი პროექტი შეუმუშავებია ამ abshiga a fol agamagamante aglise ხებ: მიწები, რომელნიც კერძო პირებს არ ეკუთნიან, სულ სახელმწიფო მიწებად ჩაირიცხებიან. მდინარეებისა, წყაროებისა, ტბებისა და ხელოენობით გაყვანილი არხების ხმარება ისევ ისე შეეძლება ხალხსა, როგორც აქამდინ ადათი ყოფილა, ან ხოგოხც დოკუ მენტებიდან აღმოჩნდება. მიწის ხმარებაზე ხალხს ისეთივე ნება ექნება, როგორც მთელს იმპერიაში მწარმოები წესდებულებანი უჩვენებენ. ტყე, om soggemending allengingsmile she აქვთ დარგული, სახელმწიფოს ეკუთვნის. თავისუფალ სახელმწიფოს მიწებ. ზედ მცხოვრებლებს "მეუძლიანთ სა Jahoma sangat, Bazinabat Jords, ქვა და თიხა. ზენერალ-გუბერნატორს შეუძლიან ის მიწები, რომელნიც ხმარებაში არ არიან, ცალკე პირებს მისცეს შესამუშავებლად და ამ მიწის ამღები გაანთავისუფლოს ხარჯის მიცემისგან 3-ს წლიდგან 10 წლობამდის. მალაქების მიწები ქალაქის საზოგა-ღოების საკუთრებას შეაღგენენ.

— <del>ჩ</del>ოგორც "ნოეოე ერემია" ამბობს, ეხლა აპირობენ ქალაქების უძ რავი მამულების ნორმალური ფასის დადებას და ამისთვის ადგენენ. წეს-הלבו לחלה להניטוחם יו ליבלותיישונים בי რო, რომ ხარჯის რიგიანად დადება შეიძლებოდეს. მს ახალი წესდებულება მომავალის წლიდამ იქნება შემო

შინაურ საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს ერთად გადაუწყვეტიათ, რომ იმ ხელ-შეკრულობით გლეხკაცებ შორის, რომელნიც სამამასახლის მმართველობის წიგნებში იქნებიან ჩაწერილნი, სასამართლოში ძალა ჰქონ-

— პეტერბურგის ქარხნის პატრო-ნებს მოუნდომიათ პეტერბურგში სა მუდამო სამრეწველო გამოფენის გა მართვა; ვინც ისურეებს, თავის საქონ ლის ნიმუშს მოიტანს გამოფენაზე დ ზედ დააწერს ყალიბსა და ფასსა. ბმ გამოფენის შესახებ შედგენილი პროექტი მალე უნდა წარუდგინონ მთაე-

— პი კიდევ ერთი სიმშილის მსხვერპლი რუსეთში (Mhomagal გუბერნიაში): მარტში ს. ძამენევში ერთ გლეხ კადს მოუკლავს თავი. საქმე ესე ყო-აულია ცელი, კარებისკენ მიუქცევია პირი და ცელი გადუსომს მუცელზე; ცოლი და შვილები აქვე ყოფილან. — • რას სჩადიხარ? დაუკეირია ცოლ-სა.— • ბრაფერსაო", მიუგია ქმარსა და იქვე წაქცეულა. საწყალს ერთი დღე კიდევ უცოცხლია და მღედლისთვის უთქვამს თავის მოკელის მიზეზი. რო

ნიათ-რა. საცოდავისთვის სიმშილს გაუჭირებია საქმე. <mark>Оოლი და შ</mark>ვიდი შვილი დარჩენია.

அவரு குக்கூறைம்.

— პსუანიდგან იწერებიან გაზეთე-ბი, რომ ამ ქალაქში 2000 ქოროსკოდგან გამოქცეული კაცი მოსულ და კიდევ ბევრს მოელიანო. ხართუმის მცხოერებლებიც რომელთაც მოასწრეს გამოსელა, ეიდრე აჯან ყებულები გარს შემოერტყმოდენ ამ ქალაქს, ამ დღეებში შემოელენ მგეიპტის სამ മന്ദ്രാഗ്രീനം.

მგვიპტიდგანვე იწერებიან, რომ ინ გლისის და მგვიპტის მმართვბლობას შემდეგი ეპისტოლე მიულია ბერბერის შეიხებისაგან: ასამართლიანია თქვენი ჩვენთან ქცევა, როდესაც თქვენი გაუ ბედავი მოქმედებით გეაგდებთ ჩვენ აჯან ყებულების ხელში? ბანა არისღ თქვენში კაცთ-მოყვარეობის გრძნობა ნუთუ ეს არის შედეგი ლონდონის მიტინგებისა, რომლებზედაც ყოველ თვის დიდი უკმაყოფილება და დრ ვინვა ისმოდა მონებით ვაჭრობის წი ნააღმდეგ? ჩვენ გემურს იმ მონების ბედი, რომელნიც ინგლისელებმა ეერ გაანთავისუფლეს; ისინი ყოველს წამს როდესაც ჩვენს სიცოცხლესაც და სა კუთრებასაც ყოველთვის დიდი საში-Things Ingenob. It our Nogemobyლების დაპირება? 0,35ება, 05გლისი მაშინ მოგვეშველოს, როდესაც ჩვენ ყველანი აბოჟლეტილნი ვიქნებით! ჩვენ ეხლა მარტო ინგლისს კი არა, ყოველ ხალხთ ეთხოეთ შებრალებას. **ნ**უთუ არ მოგეხედამენ და არ დაგეიხსნიან დალუპვისაგან.»

— როგორც ვიცით, ეხლა საურან-გეთში მუნიციპალური რჩევის წევრთა ამორჩევებია; ტრანცუზული გაზეთები აცხადებენ ამორჩეეების შედეგს, რომ ლიდგანაც სჩანს შემდეგი: აკტონომი ტები ამოურჩეეიათ სულ 32 კაცი-28 უწინდელი და 4 ახალი; რ ოპპორტუნისტი — შვიდი უწინდელი და ერთიც ახალი; რვა რეაქციონერი ხუთი უწინდელი და სამიც ახალი. ბშათ გარდა, ხელ-შეორედ უნდა უკარონ კენჭი: 22 აკტონომისტს, 9 ოპპორტუნისტს და 1 რეაქციონერს. ბმ სახით ახალს მუნიციპალურს რჩეეას შეაღგენენ: 64 აკტონომისტი, 17 ოპპორტუნისტი და 9 რეაქციო

ბაზეთების სიტყეით, ამ ტამად გამარჯეება, რასაკეირეელია, აგტონომისტებს დარჩათ. «თავისუფალი პარიჟ თავისუფალ საფრანგეთში — ასეთია აზრი გუშინდელი ამორჩეეებისა, --ამბო ბენ გაზეთები. - ბმ ამორჩევებით იწყება კანონ-მდებლობითი და სენატის მორჩევა, რომელიც 1885 წელში უნდა მოხდეს და რომელიც, როგორც ეხლავე სჩანს, უმრავლესობას მისცემს რესპუბლიკის მომხრეთ, რესპუბლიკა

ნურს რესპუბლიკას, საყოველთაო რესპუბლიკას, რესპუბლიკას გლეხებისას და მოქალაქებისას!

M 101 Bantol 9, Marsasson.

- Bonbob 5-6 (st. be.) 30635006 სტების შესახებ კანონის განგ იძობაზედ. პირველად დეპუტატს შტაუჶენბერგს წარმოუსთქვამს სიტყვა, რო לחתי אושר שם בחלקתים שבול שבול שבום שבום שותם მედობს, მაგრამ ჯერ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია და ენება კი aggines sanbagation. - , hodel some, უთქვამ ო/იატო/ის, — ესრედ-წოდებული, ანარხისტების დასი იმ სახით, რა სახითაც ეხლა არსებობს იგი, არის ნაყოფი სოციალისტების შესახებ დად-გენილი კანონისა. მისაც ჩემსაეით ერთგულად და გულმოდგინებით უდევნებია თვალ-ყური და ზედმიწეენით შეუსწავლია ეს საქმე, იმას არ შეუძლიან არ დამეთანხმოს, რომ სოციალ დემოკრატებს საზოგადო არაფერი არა ჰქონიათ ანარხისტებთან.... სოცია ლისტების შესახებ კანონს საზო-გადო წესიერების და სიმშეიდის შესაby sommon work of the some of მოუტანია. ამ კანონამდის იგინი არა ჰფარაედენ თავის მიმართულებას, აშ-Johnso 3,Josephogo ongosto otholo და ყველა ჰხედაედა მათს მოქმედებას; noms in, hazarby istat-shang most წარმოდგენილი წერილიც აღიარებს, მათ შეადგინეს საიდუმლო საზოგადოება და ფარულად იწყეს მოქმედება. ძანონის დანიშნულება ის იყო, რომ დაეშალა, დაეთრგუნვა ეს დაწყებულება (ორგანიზაცია), მაგრამ, როგორც ხედავთ, არამცთუ არ დათრგუნა, არამედ უფრო გააძლიერა იგი».

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა იმაზედ, რომ მხვერავი პოლიცია ერთობ მეტად გამრაელდა და ეს გარემოება უფრო აშმაგებს ანარხისტებს და ხელს უწყობს მათ მოქმედებასაო. Botonsonos, bejohne Begghage Somme Good cha-co-cha sodenoshigo, on გვინდა, რომ ამ კანონით გარიგდეს რამე; მაგრამ ჩვენ რომ ამას მივყვეთ, בע צואה בש בנובץ שאחה אונחשם נופלבעו სურველი შედეგი ექნებით ბოლოს შტაუტენბერგი სთხოედა რეიხსტაგს, რომ ხსენებული კანონ-პროექტი არ მიელო.

შტაუტენბერგის პასუხად კონ Unhastrada antranhmend Fohdmund ვა სიტყვა. მინიგეროდე შტაუდენბერგის წინააღმდეგ ამტკიცებდა თურმე იმ ზომათა აუცილებელს საჭიროებას, რომელთაც მმართებლობ**ა** ხმარობს სოციალისტების წინააღმდეგ. — ახალხს Josephamonymu codicos marriofel შესახებ კანონის განგრძობა, —ულაბარაკნია ამ დეპუტატს, — მას ასე ჰსურს. ნუთუ პარლამენტის უმეტესობას უნgo by somb ongoln domo so ohძოლაში?.. ბ. შტაუტენბერგი ამტკიცებს, ეითომც ანარხისტემის დასი nymb baymon brygnomobolob & Babsხებ გამოცემული კანონისა, მაგრამ ნუთუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ

ამ კანონის მოქმდება იყოს მიზები პესტრიაში, ჩნგლისში და საფრანცეოში ანარისტების გამლოტებისა სოცები და განონისტების გამლოტებისა სოცები და განონისტების ამას არც თუითონა ჰუბიზეტგა სოციალ-დებიკრატება მოსწონთ მათნა, მისწოფებანი, თუმცა მოგი მათგანი კი ამტკიცებს, რომ უცხო-ქვეყნელი ანარისტების გამოს გამოსატების გამოსადეგა არ არისთ. სოციალ-დებოკრატების გამოსადეგა დის ანოგიალატმოკრატების აწავლა მოქმცდობს, საჭიროა მათთან ბროი და, ხოვლი მაზისტის ანტანის მოქმცდობს, საჭიროა მათთან ბროი და, ხოვლი მაზისტის ანტანის

ამის შექდეგ უპასნი მინდქგორსეს. მან თვის საუბარში პირეცთად ისეთიც აზიი გაუტარებია, როგორიც შტაუტანებეტა, განსხვავება მხოლოდ ისა ყოფილა, რომ სოტოგორსეს ბოლოს უთქემას, რომ სოტოლისტების შესახებ განონის ერთბაშად გაუქება არ იცარუბებსო. შემდეგ კიდევ ჩამდენიშე თრატორისა, რომელნიც ამგაციებდენ ფიტატ მოტამას განონის განგრმობის საქმარიცბას, ულაპრავნოთ სოქფალისტებს ჭრომეს დ გამას შეგაზის განტანის პირეცის, სხეთა მორის, უთქემას, რომ სოტალისტების შეცახებ განონი არგანენის და ამცირებს გუმანიისთა მეფირეს უთქემას, რომ მე სოპოტინებით მიციდეც რადიცალების სწიელბათ.

ამის შემდეგ სხდოშა მეორე დღემ დის შეუწყვეტია პალატას.

the celes of the port of the port of the property of the prope

თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა ქსაზოგადოქბისა შეუმლებელ მოსწავლე თა შემწეობისათვის

(დასასრული\*)

თავს-მყლომარე უცხადებს ყრებას, რომ კომიტიტ ში ალიძრა ცითხვა იმის თათბაზე, თუ რა მიმართულება მიედს საბოლოვიდ გაამაურო სუფ-რო კლისიკური ხასიათი, მაგრამ გამოცდილებამ აღმოანინა, რომ კლასიკური სისტიმა მეტად პისკოლებს სეფოლის რემის ტმატობეს სუფლობი, და ამი

გ. გაზაშვილი. ჩემის აზრით, და რამდენადაც დაეკერტებრებრ, საზო. გალიების აზრითაც - ნისურეებიბ, რამ სკოლის ხასიათი იგივე, კლასიკური დარტა. ზინალმდეგს შემთხევაშ იკელას გული დაგწუდება და კევლასთებს გამთხებით და დარტა. სკოლის ხასიათის გამოკელიებს დატურებათ უმად. ლეგის ახაწუნტებით და დანტურებათ უმად. ლეგის ახაწვილებს დაგხურებათ უმად. ლეგის ახაწვილებს დაგხურებათ უმად.

დ. მაღალა შვიდი. პირეელიდ, ამ სკოლის, დააბისგების, დროსა ჩვენი არა გექონია ამისთანი "ერცელი "შვეხელა ლება საგანზე, როგორც ებლა გვექეს. შაზინდელი ჩვენი სურეოლი ერთობ

მარტივი იყო: გვინდოდა მხოლოდ დაგეეარსებინი მოსიმხიდებელი კლისი, რომლიდამაც ჩვენი შვილები უნდ გადასულიყენენ სხეა-და-სხვა სასწავლებლის პირეელს კლასებში. მაგრან თან-და-თან ცხოვრების პირობებმ: გვაიძულეს ჩვენი თავდაპირველი სურ ეილი და საგანიც გაგეედიდებინა, გა გეევითარებინა. ბმან მაიტანა ეს საქ მეც — სკოლის მიმართულება იგიეე დარჩეს, თუ შეიცვალოს. 38 საქმე! გადაწყვეტა ან კომიტეტს უნდა მიენ. comb st co zmanbos odatob samming ema. It haddy babyothm, ghount your მის გაკერით გადასაწყვეტი კი არ არის, არამედ დიდად საყურადღებო და დასაფიქრებელია...

ქომიტეტის წვერო ბ. 6. Оხეედაძე ჰეითხულობს ანგარიშთან დართულს მოხსენებას, რომელშიაც იგივე ერფოლი გამოთქმული, რაც ლ მაოალაშვილმა წარმოსთქვა.

სუოლის ინსაგქტორი, ბ. გ. ვიფი
სი საზოგალოების ონიშნებს იმ აგაქას,

რომ ჩვენს ემაწეილებს ერთობა თქ
ნვლლებათ სწავლა იმ პროგრამითადა

სისტებით, რომეთნიე ლექა არსებო
ბენ. ბავშაი, რომეთნიე ლექა არსებო
ბენ. ბავშაი, რომეთნიე ლექა არსებო
ბენ. ბავშაი, რომეთნი ელექა არსებო
ბენ. ბავშაი, რომეთნი ელექა არსებო
ბენ. ბავშაი, რომეთნი ელექა არსებო
ბინა, საფუქვოიანად და ამ ენაზედე

ანისა, საფუქვოიანად და ამ ენაზედე

ანისა, საფუქვოიანად და ამ ენაზედე

ანისა, საფუქვოიანად და ამ ენაზედე

ანისა და ყველა სხენ აგანების "ფექაც
ლის!

იგა მანაჩვადა. Oქ წარმოთქმელი იქშნა და მართვლიც არის, რომ ამისთანა საყურადღებო საგნის გადაწყვეტა უცერად, 33 გეარს სეტაპი შეუძლებელი არის. ბმიტომაც, სწორედ აუცელებლად საქოროა კომისის და ნიშენა საქმის საფურელისად განსაზილეფლად და გამისარ ყვეველა.

გ. გაზ. ჰქალი. მს შანდა გავიგო: კომისის ამ სავნის საპოლიკოდ გარდწყველს უფლების მიცემა არ არლევი?
პმისიანა უფლების მიცემა არ არლევი?
პმისიანა უფლების მიცემა არ აროს სასტრევლი, რადგანაც შეიძლება კომანიამ რედური ზანიათი მისცეს სკოლას და ეს სახურევლი არ არის. მე იმტიმ კი არა ვედილობ სკოლის 
კლასიკურის ხასიათის "ფედეა", რომ 
კლასიკურის მაიმწონდეს და მისი თა 
კვანის-მცემელი ვიუო, არამედ იმიტიმ, 
რომ იგია დღეს ქოთადერთი გახ. 
რომელსაც კამაწეილი მამყაეს უმალლე 
სის სასწავლებლის კარებისკენ...

თავს-შჯლომარე და რამდენიმე დამსწრეთავანი მიუვებენ, რომ კომისია მხოლოდ საქმის გამოსარკეედი და გამოარკეეულის ახალი კრებისადმი მოსახსენებლად ინიშნება:

ი გაგაშელი: მაინც ფრთ რამ ჩიება სახიებისა ერიცობაა კომისიმ მიძინლმა სკოლისაფის რეალურის სასიათის მიცემა და დარიშნა სახლი კოება, რომელმაც უნდა გადასუვიკომასიისავან შემუშვებულის აზრის მადება; ანუ უაბულია არის მადება, ბულია კოება არ შესდგეს, მეორედ კი რამდენიც უნდა დაებურის საქმის გადაწევეტის უფლი

ბა ექნებათ, და ტს რამდერიმეტ უფრო საფიქრებელია, კომისის მომხრენი იქნებოან: აშიტომაც უმჯიმესია, რომ ამ საქბის გადაწყვებას ეხლავე შევედგეჭოდეთ...

ლ. მაღალაშვილი. ძიდევ ვიტყვი რომ ეს საქმე არის დიდად სა<u>კუ</u>რა დღებო და ძნელი გადასაწყვეტი. ბქ ზოგი ამბობს \_კლასიკური დარჩეს, რადგანაც ის გეაძლეეს უმაღ ლესი სწავლის შეძენის საშუალება საო; ზოგი ამტკიცებს — კლასიკური სი სტემის გზით შეძენილი «უმაღლეს bysoms abramace behoraging sus რებზე რჩება გამოსადეგი და ამიტო მაც რეალურს სისტემას უნდა მიეატა ნოთო; ეს სისტემა მეგვაძენინებს სამე ურნეო ცოდნას, რომელიც ყოველთვის coshfight goodsm. 3nt Bohosmas ორის აზრის დამცველთა შორის, —ამის გადაწყვეტას კარად დაფიქრება ექირვე ბა... იყო დრო, როდესაც ჩვენ უპირატე სად მხედრები გვეჭირვებოდა და ჩვენც სამხედრო სასწაელებლებს შეტანები დით; შემდეგ სამოქალაქო ჩინოვნიკე -פרקלול לאתינושל בשו בשוחור לפנים הם ლებლებს მიემართავთ; იქნება, უხლ იმისთანა დროა, როცა სამეურნეო იოდნა გეექირეებოდეს უპირატესიდ? Ob what among someth good and hood, წინ-და-წინვე გაზეთებით და სხვა სა შუალობებით შეატყობინოს ახალი ბაზე გადაწყდება სკოლისათვის საბორეალურს სისტემათა შორის ერთ ლოეოდ ამორჩევა შლასიკურს და ერთისა, და, მერწმუნეთ, საზო გადოება ბლომად მოგაწყდებათ წარმოსთქვამს თავის გადამწყვეტს აზრს.

ძრებამ გალასწყვეტა კომისიის, დახ ნიმშედ და ის იყოა დერეფან ში კგა დიიდა კანდიდატების იარეგებს მოსაფექოებლად, რომ თავსამჯდომარის ზარმა ყეელანი თავათავიანთ სემხე დაბრუნა: აბასში გართობილებს აგარების დამციცება ან დაუმტათება ლობა დაგავინწყდა. ბალი ან ერთი ინენგი ან მეობუთა, საპოგადოებამ, რასაკერეველია, დაამტავეკა და ისე გაემურა დერეფნისავენ...

ნამდენიმე წამას შემდეგ სხლობ განახლდა. წაეციობენ სოფსამჯდობა რეც თუ რა გადა სურდა დაენიშის კომანაბს საქმის დასაბოლოვებლალი? დაგსამკო მანგა ჩემის ამაბით, ერთი თვე ანუ ობი სხოელიდ საქმანისი იქნება:

03 geek gitutengina madunlaongh ginaki hisakatangin balu gadanifiyasi ngijon tu lisakata bungmes
danifiyasi ngijon tu lisakata bungmes
danifiyasi ngidon tu lisakata
padu ngidon te danifiyasi ginam uguh
gada nanga, cu bijam daligol yadada nanga daligon yadada daligongi mya-balu daligol
yadada da bantupada yananga daligongi yadaligongi ya
daligongi y

პუაძე, ჩვ. მაჩანელი, მლ. მიქელაძე, ძობია წელო და ზლ. ძეალიაშელი. ძანლოლატაბს მოჩანეებს შემდეგ, 6. მაელობქმ წაეთიზა მომდელი აკადებოები წლესათებს საქირო ბარჯიაალრიტა (სმეტა), რომელიტ საპოგალები შედებულული დამტაცია, და რომელსაც აქვე კბექლადი სტულიდ.

როგორი კი ხარგათალროებვა დამტეიცა, თავს მგდომანიემ აუწყა კარგას შემდეგ, ფრიად "სასამოენო ამბავი: განცევ ერულის პლ. (იასელიანოს კერემა შემოსწორა სკოლის წიგნთ-საცავს ბიზლიათევა მისის განსევე შეულის ქარისათ. პრებამ ალგაცებულის სამოვნებით მიილი ეს ამბავი და გალანწყვიტა შემომწორეელისათვის მაღლობის გამოცხალება და აგრეთვე მისი მიდება სახოგალების საპატით. წევრად...

ბმით გათაედა ყოველივე განსახილ-ველი საქმე ყრებისაგან, და საპატიო თაეს-მჯდომარემ მიმართა კრებას შემდეკის სიტყეით: აბატონებო! ეწინდელს მღელეარე დროში, როდესაც ხიდამ გვეწვევოდა და ხან მეოტიდამ, ჩვენნი წინაპარნი, ყოველს მოსამარჯვებელს ადგილას აგებდენ ციხეებს და ეკლესიებს, იმ აზრით, რომ დაეცვათ თავიანთი ეროვნება, სარწმუნოება და ზნე მტერთა მძლავრობისაგა**ნ... მ**ხლა დრონი იცვალნენ და შეცვლილი დრონი შესაფერად შეცელილსავე ღონის-ძიებით ითხოვენ... მხლა გეჭირია სასწავლებლები ჩვენის გონებისა და ზნეობის განსავითარებლად, რომ მათის მეოხებით დავიცვათ ის, რასაც ჩვენი წინაპრები იცავდენ. 🗘 მერთმა ჰქნას, რომ ჩვენ იმდენი სასწავლებლები s<sub>გ</sub>ვეშენებინოს, რამდენიც მათ ციხე და ეკლესიები აუშენებიათ.

ხანგრძლივის ტაშით მიიღო კრებამ ეს გრძნობიერი სიტყვა. 081 პოთ

anaurosom-sorosamu oesoeuau

თპილისის სათავად-აზნაფრო სკოლის 1884—1885 სამოსწავლო წლისა

სათავად - აზნაურო სკოლის განსაყუთრებითი ხარჯი:

ლათინური ცეის მასწავლე.
ბელს, კეირაში 20 გაკვეთილი.

ს სამ აროგიმანთურ კლასში.
(60 მ. თითო გაკვეთილი). 1,200
ბერძნული ცეის მასწავლე.
ბელს, კეირაში 6 გაკვეთილი.

სა მესმე კლასშაგია — 360

შრანტურული ენის მასწავლებელა, კეირაში 6 გაკეთილისა მეორე და მესამე კლასში ს. კევითა განა გინ 360

\*) იხილე "დროება" № 100. agas ნილე

მატემატიკის მასწავლებელს, მან	1
კვირაში 12 გაკვეთილისა სამ	
გიმნაზიურ კლასში 79	20
რუსული ენის მასწავლე-	
ბელს, კეირაში 9 გაკეთილი-	
სა მეორე და მესამე კლასში , 54	10
შენიშენა: 6 გაკვეთილს რუ-	
0,000 0,000: 0 85,00,000 mm mm-	
სულის ენისას პირველ კლას-	
- ში აძლევს ინსპექტორი იმის	
Rodozahab obzoha an.	
ქართული ენის მასწავლებელს,	
Ged edomonoppy 8 25 1900 Bed	
კვირაში 8 გაკვეთილისა სამ გიმნაზიურ კლასში 48	0
المراجعة الم	
საღმრთო სჯულის მასწავ-	
ლებელს კეირაში 8 გაკვეთი-	
ლისა, მეოთხე გახყოფილება-	
ლისა, მეოთხე განყოფილება- ში და სამ პროგიმნაზიურ	
Jmst 30 48	0
ისტორიისა და გეოგრატიის	
მასწავლებელს, კეირაში 8 გა-	
კვეთილისა სამ გიმნაზიურ კლა-	
l.m	0
	,
მასწაელებელს	
ყველა განყოფილებაში და	
- ელასში	0
შეეიცარს და ორს კლისების	
ამოსამსახურეს	
on dondon comence that or have no	
სულ 9,99	0
სახლის ქირისათვის 4,500	0
ം ഒരു വേര്യത്തെ പ്രത്യാപ്പി	
ნათათებისათვის 750	)
ბიბლიოთეკის შემსებისა-	
თვის საჭირო წიგნებით 100	,
31.9 . 111	
მესამე კლასის საკლასო მე-	
ბელის ყიდვისათვის 200	'
სულ 15,540	
სულ 15,540	
0 2 0 20 1	
3ანსიონის ხარჯი: — მოსამ-	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახური პირთა გამავირებისა-	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ორს აომზრდილს, თი-	
პანსიონის ხარჯი:—მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი 960	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ორს ალმზრდელს, თი- თის 480 მანათი 960 მქამს 200	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: იარს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ორს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ორს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი 960 მქომა 200 მკონომს	
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: იარს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ორს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ირს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი	
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	2 2 3
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	2 2 3 3
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ირს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათ	2 2 3
პანსიონის ხარჯი:— მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: იარს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი . 960 მეონომს . 200 მეონომს . 240 საავალმყოფოს მომვლელ ლელა კავს . 120 საწილო თაისების ობი მოსა- მსახურეს . 240 მპარეულს . 240 მპარეულს . 100 მეზუნებტს . 144 მის თანაზემუზეს . 100 სულ . 2304 საჭმილოსასმელისათიის . 4,000	2 2 3 3
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	CO 00 00 00 00 00 00
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი . 960 მერშა . 200 მერშა . 240 საავალმყოფოს მომვლელ დულა კიკს . 120 სანგილ ოთახების ობი მოსა- მსახურეს . 240 მპარეულს . 240 მპარეულს . 100 მეზუბეტტს . 144 მის თანაზემწეს . 100 ტანსაკმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ ფებსაკმელის	2 2 3 3
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი . 960 მერშა . 200 მერშა . 240 საავალმყოფოს მომვლელ დულა კიკს . 120 სანგილ ოთახების ობი მოსა- მსახურეს . 240 მპარეულს . 240 მპარეულს . 100 მეზუბეტტს . 144 მის თანაზემწეს . 100 ტანსაკმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ ფებსაკმელის	CO 00 00 00 00 00 00
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ირს აღმზრდელს, თი- თის 480 მანათი . 960 მეონომს . 200 მეონომს . 240 საავადმყოფოს მომვლელ დულა კიკს . 120 საჩვოლ ოთახების ობი მოსა- მსახურეს . 240 მარკულის . 100 მეზუბტბს . 144 მის თანა შემწეს . 100 ტანსაკმელ ფებსაკმელის თვის . 2,500 ლოგინისათვის . 2,500 სასავლელო ოთახისათვის სა-	20 00 00 00 00
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი . 960 მერმა . 200 მეონომს . 240 სახვლმულუოს მომვლელ დელა კაეს . 120 მაზილ ოთახების ორ მოსა- მაზიულოს . 240 მაზიულოს . 240 მაზიულოს . 240 მაზიულოს . 100 მეზუზეტეს . 100 მეზუზეტეს . 144 მის თანა შემწეს . 100 ბანსაემულ დებსაკმელის- თვის . 2,500 ლოვინოსათვის სა- ლოვინოსათვის სასაღილო ოთახისათვის სასალილო ითახების . 300 სასაღილო ითახისათვის სა	2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6 6
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: ირს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი . 960 მეონომს . 240 სავალმყოფოს მომვლელ დულა კავს . 120 ხანდო ოთახების ორ მოსა- მსახურელ . 240 მარეფლს . 144 მის თანაზემწეს . 100 მარეფლს . 144 მის თანაზემწეს . 100 ტანსაკმელ ფებსაკმელის- თვის . 2,500 ლოგინისათვის საქარო კარგელოს აოფას . 300 სასალილო ოთახისათვის სა- კარო კარგლის კოდა . 100 სამარეულოს აოფა . 100	9999
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი	2 1 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი . 960 მკონომს . 240 მკონომს . 240 სავალმყოფოს მომვლელ ლელ-კავს . 120 განომს . 200 მარუელს . 240 მაზიუქს . 200 მაზიუქს . 100 მაზიუქს . 100 მაზიუქტეტს . 144 მის თანაშემწეს . 100 საქმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ ფემსაკმელის თვის . 2,500 ლოგინოსათვის დეგს . 300 სასალილო ოთახისათვის სა- კირო უქრქლის კოლა . 100 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 100 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 საზიანოეულოსათვის საქარო	9999
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი . 960 მკონომს . 240 მკონომს . 240 სავალმყოფოს მომვლელ ლელ-კავს . 120 განომს . 200 მარუელს . 240 მაზიუქს . 200 მაზიუქს . 100 მაზიუქს . 100 მაზიუქტეტს . 144 მის თანაშემწეს . 100 საქმელ-სასმელისათვის . 4,000 ტანსაკმელ ფემსაკმელის თვის . 2,500 ლოგინოსათვის დეგს . 300 სასალილო ოთახისათვის სა- კირო უქრქლის კოლა . 100 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 100 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 სამზარეულოსათვის საქარო შერეჭლის კოლა . 40 საზიანოეულოსათვის საქარო	6 P 9 9 8 3 8
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურუ პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 მანათი	2 1 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2 2
პანსიონის ხარჯი: — მოსამ- სახურე პირთა ჯამაგირებისა- თვის: თრს აღმზრდელს, თი- თოს 480 პანათი . 960 მერმა . 200 მეონომს . 240 სავალმყოფოს მომვლელ დელა ჯას . 120 საწოლ ოთახების ორ მოსა- მსახურეს . 200 მპარევლს . 100 მპარევლს . 100 მპერემტებს . 144 მის თანა შემწეს . 100 სავმლო აცია ჯას . 100 სავზლო აცია განა კინტის . 2,500 ლიგინისათვის . 2,500 ლიგინისათვის საპერო კერელის კილა . 300 სასავლოო ოთახისათვის საპერო კერელის კილა . 40 საზარეფლო აცია კირო პერელის აცია . 100 საზანა კინტის კილა . 100 საზარეფლოს კილა . 100 საზანი კინტის კილა . 100 საზანი კინტისათვის სახია კინტის კილა . 100 საზანისათვის კილა . 100 საზანი კინტისათვის სახია კინტის კილა . 100 საზენსათვის კილა . 100 საზენსათვის . 500 საზენსათვის . 180 სავრეთვის . 180	6 P 9 9 8 3 8

		ļ
	ბარეშე მოსიარულე მოსწავ- მან.	
	ლეთა შემწეობის ხარჯი:	
	შეუძლებელთა მოსწაელე-	
á	and a considerate	
E	თა ფულით შემწეობა 2,200	U
	წიგნებით და სხვა სასწავლო	
	ნივთებით შემწეობა 600	0
1	Total month de Allanda	
ı	ძომიტეტის ხარჯი:	
	ძანცელარიისა და მწერლი-	
	სათვის 600	)
1	Took The Control of the Control of the Party	
١	სულ 1884—1885 სამოს-	
	წაელო წლის ხარჯი შეადგენს . 30,264	ı
1	The state of the s	
1	მომავალი 1884—1885 სა-	
۱	მოსწავლო წლის შემოსავა-	
I	co:	
ı		
1	თავიანთ ხარჯზე მყოფთ 24	
ı	პანსიონერთაგან 4,800	)
ı	ნახევარ ხარჯზე მყოფთ 10	
ı	პანსიონერთავან 1,000	į
ı	ბალიდამ, რომელსაც კომი-	
1	ტეტი მართავს ყოველ წლივ	
1	სკოლის სასარგებლოდ 1,400	
1	240 2000 2000 2000 1,400	
1	გარე-მოსიარულე მოსწავ-	
1	ლეთაგან სასწავლო ფული . 200	H
ı	სასწავლო ნივთების გაყიდ-	
I.	ვიდამ	
1	Sono prophy my dry des	
6	იმ ფულიდამ, რომელიც წლის	
1	განმაელობაში კომერციულ	
ľ	ბანკში არის ხოლმე, სარგე-	
	home	
ľ	ბელი	Š
2000	საწევრო ფული 30	
SX	bell dogodnime to be from the	200
No.	სულ 7,820	
35	232 824 3 2 3 3 4 4 4 4 4 4 4 4 4 4 4 4 4 4 4	
13	ამ წლის პირველ მაისს საზოგა-	
(	ლების კასაში იყო ფულად 406 მან.	1

და 68 კაპ. ბმ ფულიანად მომავალი 1884—1885 სამოსწავლო წლის სრული შემოსავალი შეადგენს 8226 მან. 68 კაპ. ბასავალი მეტი იქმნება შემოსავალზე 22,037 მანათით და 32 კაპეიკით.

("ჩრდილოეთ სააგენტოსი") asolials 7

3000რბურბი. დღეს შეადღისას მემკვიდრე ცესარევიჩს დიპლომატებმა მიულოცეს დღესასწაული ნიჩკინის სასახლეში. ცესარევიჩი ტამანის პოლკის фორმით იყო; სილმასას ოცი შათსაბოსედიდე სინ მინისტრი, ხოლო უდგენდა მას მიმლოცველთ ობერ-ცერემონიი. მეისტერი, თავადი დოლგორუკი.

დღეს, საათის პირველზე ხელმშიფე იმპერატორი სინჯავდა ახლად გამოუვანილს ჯარს სასახლის მეიდანზე; ამალაში იყვნენ: დიდნი მთავარნი და გერმანიის მრინცი ვილჰელმი, რომელსაც 5 ვიბორგსკის პოლკის ტორმა

დღეს საზამთრო სასახლეში ყო საპარადო სადილი, რომე-

ლიც ხეთ საათზე დაიწყო; იმპერატორთან ერთად ისხდენ: მარჯვნივ დედოფალი და მემკვიდრე ცესარევიჩი, მარცხნივ ელინთა დედოფალი და გერმანიის პრინცი; დანარჩენ ადგილებზე ისხდენ: მპურატორის გვარეულობის წევრემადლესი სამღვდელოება, გერმანიის ელჩი, გერმანიის სამხედრო აგენტი და დანიის, ვიტემბერგის და საბერძნეთის ელჩნი; მეორე სტოლზედ ისხდენ: სახელმწიფო რჩევის წევრნი, სე ნატორები, მინისტრები, გენერალიტეტი და სასახლის მოხელენი; სადღეგრძელოები დალიეს: მათ იმპერატორებით დიდებელებათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა, იმპერატორის სახლეულობისა, უავგვისტოესი სტუმრებისა, სასულიერო წოდებისა და ერთგულ ქვეშევრდომთა; სადილის დროს უკრავდენ რუსული ოპერის და **കാളതാട്ടെ പ്രത്യാ** ക്രൂറ്റി რები და რუსული ოპერის არტისტები მღეროდენ.

ლാനാധനാന. ഗാല് പ്രാദ്രാത്തി മാത്രാ წუვიტა: კრაშევსკის 31/2 წლით ციხეში დამწუვდევა, ხოლო გენტშს ცხრა წლით დასასაწუნარებელ სახლში დამწუვდევა და ამ დროს განმავლობაში ღირსების ახდა. გააუქმეს განკარგულება გრაშევსგის ქონების ჩამორთმევის შესახებ.

Banbob 8-6.

სტამბოლი. აზიის ოსმალეთში, ქალაქს ბეიბაზარში გაჩნდა ცეცხლი, რომლისაგანაც დაიწვა 1500 სახლი, მათ შორის თერთმეტი მეჩეთი, 60 სასულიერო სასწავ-

ლებელი, და დაიდუპა თერთმეტი 3830.

ლന്ദരന്ദേ. გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ინგლისის მმართებლობას იგივე აზრი აქვს ეგვიპტის კონტერენციის შუსახებ, რაც დღემდის ქქონდა, მაგრამ ქფიქრობს, რომ საფრანგეთთან მოლაპარაკება ეგვიპტის საქმეთა შესახებ ორთავე სახელმწიფოსათვის სასურველი არის. ამ მოლაპარაკების შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი დაეკითხებიან სხვა სახელმწიფოებს.

სუაქიში. აჯანუებულებმა ძალიან დაუახლოვდენ ამ ქალაქს, და ღამ-დამობით სროლა სტუდება ხოლმე მათსა და ქალაქის მცველ-താ ദ്രാത്രം വ

## . രേണ്യാണം ചെന്നും

y. B-dob. გვაცნობეთ ხოლმე, რა ნომრები გაციოდებათ და მგგისრედუბთ, კარგი იქნება ამასთანავე ცგირილის ფოსყვაში გა-მოაროგათ ბარათი, რომ ქსა და ეს ნომრები არ მიგილიათ და აქ გამოგვიგზავნოთ.

დ— ნაკლულს. -ქგენს ლექსებს გერ დავბექლავთ. მიზეზის თქმა შორს წაგგიუგანს.

ი. დ-ს. თქგენი წერილი შესახებ ისტორიული ყურნალისა გერ დაგბეჭდეთ იმიტომ, რომ იმასგე იმეორებდა, რაც ჩვენს So Blondo nym.

სიმ — ქამს. გვოხოვო , შეგატყობი -றை არა, მართალი გიოხრათ, "ცუდად დღო-Job Gogo Bands" bemanos, Bogand algen გვაქვს, იმისთანა საქმეს იშოვნით, რომ ცუდად ჯღომა არ დაგქირდეთ

030600L 60@0000000000

მიიდება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ტურნალს

"Agmas Bac"

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის "ივერიისა" უკეე გაიყიდა და ამისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება.

(10-1)

JOSJOLAND LOSSOSAM DELOGOSMAD

Ussagonsta Ustantonis ინძილინი

მიღებულია მ0606ალური წძლიბი სამზღვარ - გარეთული და ძაგკასიისა ბმ გაზაფხულზე ფემზადეგული.

ლაკაშები (ლეპიოშკები), მარილები სასმელებისათვის და ეანნებისათვის.

ტერმომეტრები ეანნებისათვის.

სხვა-და-სხვა ზომის იარალები (გაზოკენები) სელტერისა და შუშხუნა წყლების მოსამზადებელი თავიანთ პორო შოკებით. (70-2)